პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 დეკემბერი. ოთხშაბათი. 1989 წ.
№ 233 (10 152) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს სპორტსმენთა 1989 წლის მონაპოვარი

იწურება 1989 წლის სპორტული სეზონი, იწურება წელიწადი, რომელიც, ისევე როგორც 1988 წელი, განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ქართული სპორტის ისტორიაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია ყოველწლიურად ატარებს ჟურნალისტთა გამოკითხვას, რომლის შედეგად, ტრადიციულად, ვლინდება საქართველოს წლის ათი გამორჩეული, მათ შორის სპორტული წლის საუკეთესო სპორტსმენი. ბოლო წლების გამოკითხვაში აქტიურად მონაწილეობენ „ლელოს" მკითხველები. ტრადიციას ამჟამადაც დავიცავთ. მკითხველთა სწორი ორიენტაციის მიზნით დღეს გაგაცნობთ 1989 წლის საქართველოს სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ წარმატებებს. არჩევანი თქვენზეა — თქვენც შეადგინეთ საუკეთესო ათეული და მათ შორის დაასახელეთ რესპუბლიკის №1 სპორტსმენი. აგრეთვე, გაგვაცანით სამი საუკეთესო გუნდისა და ათი რჩეული მწვრთნელის თქვენეული ვარიანტი.

გთხოვთ, სპორტსმენთა ათეული შეადგინოთ არა ანბანის მიხედვით, არამედ იმის გათვალისწინებით ამა თუ იმ სპორტსმენს 1989 წელს მოპოვებული შედეგების მიხედვით რომელ ადგილს მიაკუთვნებთ ათეულში.

ვინ იქნება ყველაზე ზუსტი მკითხველთა შორის?

მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონატები და თასების გათამაშება, საერთაშორისო ტურნირები (1989 წლის 20 ნოემბრისთვის).

**მსოფლიო ჩემპიონები**

ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა)
კობა კურტანიძე (ძიუდო)
ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო)
ჯემალ მჭედლიშვილი (სამბო)

**მეორე პრიზიორი**

აკაკი კიბორძალიძე (ძიუდო)

**მესამე პრიზიორი**

გიორგი თენაძე (ძიუდო)

**იუნიორთა შორის**

**მსოფლიო ჩემპიონები**

დიანა დარჩია (ჭადრაკი)
ნაიბ დვალაძე (კლასიკური ჭიდაობა)
კახაბერ კახიაშვილი (ძალოსნობა)
ქეთევან კახიანი (ჭადრაკი)
გიორგი კოლუაშვილი (კლასიკური ჭიდაობა)
არმენ ბურდიანცი (კრივი)
გიორგი ხინჩიკაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა)
ივანე გამხიტაშვილი (სამბო)

**მეორე პრიზიორი**

თეა ლანჩავა (ჭადრაკი)
დმიტრი ავდალიანი (კრივი)
მურთაზ თურქია (სამბო)

**მესამე პრიზიორი**

კახაბერ ბარავი (კრივი)

**ევროპის ჩემპიონები**

ჯემალ მჭედლიშვილი (სამბო)
კობა კურტანიძე (ძიუდო)
ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო)
ხრისტინა ფალასინიდი (სინქრონული ცურვა)
გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა)
ვახტანგ იაგორაშვილი (თანამედროვე ხუთჭიდი, პირადი და გუნდური)
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, პპ-2, გუნდური)
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, მპ-5, პირადი)
ნინო სალუქვაძე (ტყვის სროლა, მპ-5, გუნდური)
რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა, სინქრონული ხტომები)
რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა, გუნდური)

**მეორე პრიზიორი**

ნუგზარ ჭკაგნიძე (რაგბი)
მამუკა ლოხაბერიძე (რაგბი)
ევგენი ზუევი (რაგბი, სამივე — სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში)

**მესამე პრიზიორი**

გიორგი თენაძე (ძიუდო)

**იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონები**

ირაკლი ქურსაშვილი
პეტრე ჩაჩანიძე
გიორგი ლვინიაშვილი (სამივე — რაგბი, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში)
ნატო ნახარიძე
სულიკო თოფურია (ორივე — მშვილდოსნობა, გუნდური)
კახაბერ კახიაშვილი (ძალოსნობა)
გელა უბილავა (თავისუფალი ჭიდაობა)
ზაზა ზოზიროვი (თავისუფალი ჭიდაობა)
ხათუნა კორკელია (წყალსათხილამურო სპორტი)
მედეა მხეიძე (კალათბურთი, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში)
ვლადიმერ დგებუაძე (ძიუდო)
დავით ხახალეიშვილი (ძიუდო)

**მეორე პრიზიორი**

კახაბერ ვახტანგიშვილი
ლევან თიბილოვი (ორივე — საციგაო სპორტი, ორადგილიანი)
ნატო ნახარიძე (მშვილდოსნობა)

**მესამე პრიზიორი**

გრიგოლ ჩუბინიძე (ძალოსნობა)
დავით ბაგაური (ძიუდო)

**მსოფლიო თასის მფლობელები**

**I ადგილი**

ზაზა თურმანიძე (თავისუფალი ჭიდაობა)
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, პპ-2, პირადი)
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, მპ-5, პირადი)

**სსრ კავშირის ჩემპიონები**

ქუთაისის მორაგბეთა გუნდი „აია" (27 მორაგბე)
აკრობატთა სამეული (ნ. ანისიმოვა, ი. გიორგობიანი, ს. მაკარიჩევა)
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, მპ-5, პირადი)
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, მპ-5, გუნდური)
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, პპ-2, პირადი)
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა, პპ-2, გუნდური)
ვურამ გედეხაური (თავისუფალი ჭიდაობა)
შამილ მაგომედოვი (თავისუფალი ჭიდაობა)
ჯემალ მჭედლიშვილი (სამბო)
კობა კურტანიძე (ძიუდო)
ამირან ტოტიკაშვილი (ძიუდო)
გიორგი თენაძე (ძიუდო)
ავთანდილ გუბელაძე (ძიუდო)
ხრისტინა ფალასინიდი (სინქრონული ცურვა)
ნინო მაისურაძე (სინქრონული ცურვა)
გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა, კოშკი, საზაფხულო პირველობა)
გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა, კოშკი, ზამთრის პირველობა)
გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა, გუნდური)
გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა, ტრამპლინი)
ილია ჩაგანავა (ტყვიის სროლა, მპ-11, პირადი)
ვლადიმერ გაბრიჩიძე (ჩოგბურთი, წყვილებში)
ლეილა მესხი (ჩოგბურთი, წყვილებში)
ლეილა მესხი (ჩოგბურთი, ერთეულთა თანრიგში)
ხტელა პრიახინა (ველოსპორტი, მრავალდღიანი რბოლა, გუნდური)

**II ადგილი**

სულ მოპოვებული აქვს 14 სპორტსმენს

**III ადგილი**

მოპოვებული აქვს 32 სპორტსმენს

**სსრ კავშირის პირველობა**

I ადგილი — 28
II ადგილი — 14
III ადგილი — 14

**სსრ კავშირის თასი**

I ადგილი — 4
II ადგილი — 5
III ადგილი — 3

**საკავშირო შეჯიბრებები**

I ადგილი — 23
II ადგილი — 11
III ადგილი — 14

**საერთაშორისო შეჯიბრებები**

I ადგილი — 42
II ადგილი — 36
III ადგილი — 44

**IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშები**

I ადგილი — 19
II ადგილი — 18
III ადგილი — 24

სპორტსაზოგადოების პლენუმზე

## „შრომითი რეზერვები" — ამიერიდან „მართვე"!

### ჩვენი განათლების სამინისტრო კარგ მაგალითს იძლევა

**რესპუბლიკის** ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მომხდარ სასიკეთო ძვრებში მკაფიოდაა გამოკვეთილი საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს დამსახურება. ზოგიერთი საკითხი ათწლეულობით გადადიოდა დღის წესრიგიდან დღის წესრიგში და, საბოლოოდ, მიუხედავად აუცილებლობისა, მაინც გადაუჭრელი რჩებოდა. ბოლო ხანებში ვითარება შეიცვალა, რაშიც უდავოდ დიდია სამინისტროს ახალი ხელმძღვანელების დამსახურება. სიახლეებზე „ლელო" ადრე უკვე წერდა. ამჟამად სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პლენუმზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ეს პლენუმი გუშინ გაიმართა საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროში.

როგორც დღევანდელობას შეეფერება, პლენუმზე დაუფარავად ითქვა სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებზე, რასაც არც თვით მომხსენებელმა, საზოგადოების თავმჯდომარემ ა. შენგელიამ აუარა გვერდი. კონკრეტული წინადადებები წამოაყენეს და კრიტიკული იყო თბილისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილების გამგის დ. კალანდაძის, აკრობატიკის სპორტსკოლის დირექტორის მ. გეგელიას, რესპუბლიკური ოლიმპიური სპორტსკოლის დირექტორის მოადგილის ა. მანჯგალაძის, ახმეტის სპორტსკოლის დირექტორის ა. ნონიაშვილის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის გ. გალდავას, აჭარის განათლების მინისტრის მოადგილის ლ. ჭანტურიას გამოსვლები. ითქვა, რომ უნდა ვიზრუნოთ მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცებაზე, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის ახალი ფორმების დანერგვაზე განათლების ყველა რგოლში, მოწინავე სპორტსკოლების, მწვრთნელების, სპორტსმენების მატერიალურ წახალისებაზე. ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ეროვნული სკოლის კონცეფციაში სადღეისო და მომავლის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა აისახოს ფიზიკური აღზრდის საკითხები.

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სახალხო განათლების სპორტსაზოგადოება ხელს შეუწყობს საქართველოში ეროვნული ოლიმპიური მოძრაობის განმტკიცებას და ამ საქმეში შეიმუშავებს თანამშრომლობის კონცეპტუალურ მიმართულებას.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ფუნქციების გაფართოების შესახებ. ამასთან დააყენა წინადადება, რომ აუცილებლობა მოითხოვს სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელების გადახალისებას.

პლენუმმა სპორტსაზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია ამავე სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი მ. მნათობიშვილი, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ა. შენგელია.

დაისვა საკითხი, რომ სპორტულ საზოგადოებას შეეცვალოს სახელწოდება. წამოაყენეს რამდენიმე წინადადება. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება (ერთი წინააღმდეგი იყო), რომ „შრომითი რეზერვები" ამიერიდან იწოდებოდეს, როგორც საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება — „მართვე". ვფიქრობთ, ამ სამინისტრომ ჩინებული მაგალითი მისცა იმათ, ვინც დღემდე ვერ შელევიან სპორტში მიუღებელ და არაეროვნულ სახელწოდებებს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი გ. ენუქიძე.

## საპრიზო ადგილების კანდიდატები

**ვოლჟსკში** მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა 49-ე საკავშირო ჩემპიონატის XIV ტურში მორიგი გამარჯვებით თბილისელმა ქეთევან კახიანმა მოაგროვა 9 ქულა და ლიდია სემიონოვასა (კიევი) და აინურ სოფიევასთან (ბაქო) ერთად იყოფს I-III ადგილებს. ქეთევანმა ამ ტურში დაამარცხა თავისი უშუალო კონკურენტი, ვოროშილოვგრადელი ზოია ლელჩუკ-პოპოვა და საპრიზო ადგილის მოპოვების რეალური შანსი გაუჩნდა. სემიონოვამ მოუგო შიაულიაილელ რენატა დომკუტეს, ხოლო სოფიევასა და ფირუზა ველიხანლის (ბაქო) პარტია ყაიმით დამთავრდა.

ლელჩუკ-კახიანის პარტიაში მეტოქეებმა გაითამაშეს ინგლისური დასაწყისი. შავებმა თანდათან გაათანაბრეს პოზიცია, ამასთან ცენტრში მიიღეს ძლიერი მხედარი. გაიცვალა ლაზიერები, მსუბუქი ფიგურები. კახიანმა ჯერ მოიგო პაიკი, შემდეგ კი ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა.

ამავე ტურში ელენა ხარკოვამ (მოსკოვი) მოუგო ფლორა უსკოვას (ალმა-ათა), მარინა შერემეტიევამ (კიშინიოვი) — ირინა ჩიოლუშკინას (ლვოვი). მარია ნეპეინა (ვოროშილოვგრადი) — ირინა უმანსკაიას (მოსკოვი) და სვეტლანა პრუდნიკოვა (ბალაკოვო) — ანდა შაფრანსკას (რიგა) პარტიებში ყაიმები აღინიშნა, ხოლო ვალენტინა კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — გულნარა სახატოვასა (ალმა-ათა) და იულია დიომინა (ნოვოსიბირსკი) — ნინა სიტნიკოვას (ლენინგრადი) პარტიები გადაიდო.

ერთი დღით ადრე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. აი, მათი შედეგებიც: პრუდნიკოვა-სემიონოვა 1:0, კოზლოვსკაია — სემიონოვა 0:1, შაფრანსკა-სოფიევა 0,5:0,5.

ამრიგად, XIV ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: კახიანი, სოფიევა, სემიონოვა — 9-9 ქულა, ლელჩუკ-პოპოვა, ჩიოლუშკინა — 8,5-8,5, დიომინა, სახატოვა — 8-8 და თითო გადადებული პარტია, სიტნიკოვა — 7,5 ქულა და 1 გადადებული, შერემეტიევა — 7,5 ქულა. მოჭადრაკეთა ეს ჯგუფი ინარჩუნებს საპრიზო ადგილების მოპოვების პრაქტიკულ შესაძლებლობას.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურიღაა დარჩენილი. ტურების მიხედვით კახიანის მოწინააღმდეგენი არიან: ჩიოლუშკინა, შერემეტიევა და ნეპეინა.

უკანასკნელი, XVII ტური გაიმართება 8 დეკემბერს.

„ლელოს" კორ.

ჩვენი ენა, ქართული...

## ვითომ გამონაკლისია?

ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებში, სპორტულ ბაზებზე ქართული ენის სტატუსის დაცვისთვის კონკრეტული ღონისძიებები გატარდა და ტარდება. საქართველოს სპორტსახკომმა ამასთან დაკავშირებით საგანგებო ბრძანებაც გამოსცა რამდენიმე თვის წინათ. სამწუხაროდ, ზოგიერთ კოლექტივში კვლავ გვხვდება ქართული ენის კონსტიტუციური უფლების უგულებელყოფის ფაქტები. ზოგან ისევ რუსულ ენაზე ადგენენ დოკუმენტებს, აკრავენ რუსულენოვან განცხადებებს, ან ძველის ახლით შეცვლას განგებ აჭიანურებენ. ენის უგულებელყოფის ფაქტებს, რომლებსაც დღეს გაგაცნობთ, ამ დღეებში წავაწყდით თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს ტანვარჯიშულ დარბაზში. აქ სპორტული ნაგებობით სარგებლობის შინაგანაწესიც კი რუსულ ენაზეა შედგენილი. მართალია, ეს შინაგანაწესი 1987 წლის 4 იანვარს გამოუკრავთ, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა ეზრუნა მის შეცვლაზე, თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან გახუნებულია? პირველ სართულზე დერეფანში არც ერთი ქართული პლაკატი არ არის გაკრული. სამაგიეროდ, რუსულია საპიროზე მეტი — 18. არც ქართული გაზეთის სტენდია (რუსულისა არის), წარწერებიც რუსულია. უცნობლივე ამის შესახებ რედაქციას ანონიმური სატელეფონო ზარით აცნობა ქართული ენის ერთმა გულშემატკივარმა. ჩვენ შევამოწმეთ და, სამწუხაროდ, ცნობა დადასტურდა.

ეს სპორტული ბაზა ვითომ გამონაკლისია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესეც თქვენი ახალბედა!

### ირაკლი გელდიაშვილის სახელობის ღია საქალაქო მემორიალი მეკლდეურობაში

**უშბაზე ტრაგიკულად დაღუპული თბილისელი ირაკლი გელდიაშვილი სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი და მეკლდეური იყო. ორივე სახეობაში საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლებიც მოიპოვა და სხვა ხარისხის ჯილდოებიც დაიმსახურა...**

**ამ ზაფხულს თბილისის მთამსვლელთა ფედერაციისა და ქალაქის სპორტკომიტეტის თაოსნობით გადაწყდა ირაკლი გელდიაშვილის სახელობის მემორიალის გამართვა.**

**ხიტუვა** საქმედ იქცა და ეს შეჯიბრება თბილისის ბოტანიკური ბაღის მიდამოებში, ლეღვთახევის კლდეებზე ჩატარდა.

ამ ღია საქალაქო ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: თბილისის, მესტიის და ლენტეხის ნაკრები გუნდები; თბილისის უნივერსიტეტის, ასკ-ისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები, მოზარდ მთამსვლელთა რესპუბლიკური სპორტსკოლის აღსაზრდელები კი მხოლოდ პირად პირველობაში ცდიდნენ ძალას.

ამ ასპარეზობამ პრაქტიკულად საქართველოს ყველა უძლიერეს მეკლდეურს მოუყარა თავი და, თამამად შეიძლება ითქვას, რესპუბლიკურ შეჯიბრებად იქცა.

როცა ირაკლი გელდიაშვილის მემორიალის ჩატარება გადაწყდა, თბილისელ მამუკა თვაურს მეკლდეურობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. უფრო სწორედ, ბოტანიკური ბაღის მეზობლად ცხოვრობდა და სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა ვარჯიშს შორიდან ინტერესით შესცქეროდა. ერთ მშვენიერ დღეს მამუკა მათთან მივიდა და სთხოვა კლდეზე ბეშვათ. მეკლდეურებმა თოკში ჩააბეს და...

თვაურმა ასე დაიწყო ვარჯიში. დაიწყო ყოველგვარ სექციაში ჩაწერისა და მწვრთნელის გარეშე.

მას შემდეგ ხუთიოდე თვე გავიდა და ლეღვთახევის კლდეებს სასპარეზოდ მიადგნენ მემორიალის მონაწილენი. თვაურიც უმალ იქ გაჩნდა და ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ითხოვა. არბიტრები დაიბნენ, მაგრამ ბოლოს მაინც ნება დართეს. იფიქრეს, კლდიდან უმალ მოწყდებაო, მაგრამ...

თვაურმა წყვილთა გარბენში 38 მონაწილეს შორის VIII ადგილი დაიკავა. თანაც I თანრიგის ნორმატივი შეასრულა. მის ნიჭიერებაში ყველა დარწმუნდა, მაგრამ ახალბედას ასეთი წარმატება ყველამ მაინც შემთხვევითობით ახსნა.

ასპარეზობის მეორე დღეს თვაურმა, ინდივიდუალურ გარბენში, სიმაღლის დაძლევით, ერთი ნაბიჯით წინ გადაინაცვლა და კვლავ I თანრიგის შედეგი აჩვენა. ამან ახალბედის მიმართ ინტერესი გაზარდა და მესამე დღეს, სირთულეზე ინდივიდუალურ გარბენში, ყველას მზერა მისკენ იყო მიმართული. ამ სახეობაში თვაურმა ყველანი აღაფრთოვანა, II ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც შეასრულა.

მეკლდეურობაში ისეთ საოცრებას, რაც თვაურმა მოახდინა, ვერავინ იხსენებს.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ლეღვთახევის კლდეებზე თვაური თავისთვის „ერთობოდა“ (სხვა სიტყვა ვერ მოგვიძებნია), მარშრუტი დაიზეპირა, რაც ნაცნობ „ტრასაზე“ წარმატების მოპოვებაში დაეხმარაო. არა! ჯერ ერთი, ეს „ტრასა“ ასეთ შემთხვევაში სხვებსაც ხომ გაზეპირებული ექნებოდათ და უფრო მეტადაც, მეორეც, აქ მოძებნეს ისეთი კლდეები, რომლებზეც მანამდე სპორტსმენებს ძალა არასოდეს უცდიათ. როგორც შეჯიბრების უფროსმა მსაჯმა მ. თექთუმანიძემ გვითხრა, ასპარეზი საკმაოდ რთული კლდეებით გამოირჩეოდა.

საკმარისია ითქვას, რომ აბსოლუტურ პირველობას საბოლოოდ 14 ვაჟიღა შემორჩა. თუმცა, უფროსი მსაჯის სიტყვებით, ამჯერად სპორტსმენები გაცილებით უკეთ იყვნენ მომზადებული, ვიდრე უკანასკნელ წლებში გამართულ სხვა ასპარეზობებში. ჩვენი სპორტსმენების დღევანდელ შესაძლებლობებზე რომ უკეთესი წარმოდგენა შეგექმნათ, ვიტყვით. რომ სპეციალისტთა აზრით,



ლეღვთახევის კლდეებზე შერჩეული მარშრუტი ისეთი სირთულის იყო, როგორიც საშუალო დონის საკავშირო პირველობებზეა.

ამ ასპარეზობაში საუკეთესოდ გამოვიდა მესტიელი ზაზა გურჩიანი, რომელმაც სამივე სახეობაში პირველობა მოიპოვა. ბუნებრივია, იგი აბსოლუტურ პირველობაში უძლიერესი აღმოჩნდა.

აქვე ვიტყვით, რომ ზაზა გურჩიანმა ამას წინათ რიგაში გამართულ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე, რომელიც დარბაზში, ხელოვნურ კედელზე ჩატარდა, ინდივიდუალურ გარბენში და სირთულეზე ასვლაში, აგრეთვე ორჭიდში, საუკეთესო შედეგები აჩვენა.

ქალთა შორის თბილისის ღია პირველობაზე ყველაზე კარგად ნინო ჩარკვიანმა იასპარეზა. იგი მეორე იყო ინდივიდუალურ გარბენში, ხოლო ყველა დანარჩენ სახეობაში, მათ შორის აბსოლუტურ პირველობაში, უძლიერესის სახელი დაისაკუთრა.

აღსანიშნავია, რომ ნინო ჩარკვიანმა რიგაში ინდივიდუალურ გარბენში მეორე შედეგი აჩვენა. ამავე ასპარეზობაში და ამავე სახეობაში, აგრეთვე წყვილთა გარბენში აზა გურჩიანმა — III, ხოლო აბსოლუტურ პირველობაში I ადგილი დაიკავა. ამ წარმატების მერე აზა გურჩიანი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო ნაკრებში პირველად შეიყვანეს.

თბილისის ღია პირველობაზე ამ ორი სპორტსმენის — ნინო ჩარკვიანისა და აზა გურჩიანის მწვავე „დუელი“, როგორც ვნახეთ, პირველის გამარჯვებით დასრულდა.

ჩარკვიანსაც და გურჩიანსაც ჰყავთ კიდევ ორი-სამი ისეთი მეტოქე, რომლებიც მათ, როგორც იტყვიან, მშვიდი ცხოვრების საშუალებას არ აძლევენ. ასეთი კონკურენცია, ვიმედოვნებთ, ყველას ოსტატობის ზრდას შეუწყობს ხელს.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

**2ПЗ** ქვარცხლბეკი

**ქალები. წყვილთა გარბენი.** ნინო ჩარკვიანი (თბილისი) — 98,29, ნინო კვანჭიანი (მესტია) — 96,07, აზა გურჩიანი (მესტია) — 89,39; **ინდივიდუალური რბოლა სიმაღლის დაძლევით.** ნონა აბაშიშვილი (თბილისი) — 71,70, ჩარკვიანი — 71,10, გურჩიანი — 69,40; **ინდივიდუალური რბოლა სისწრაფეზე.** ჩარკვიანი — 100, გურჩიანი — 81, კვანჭიანი — 53. **აბსოლუტური პირველობა.** ჩარკვიანი — 269,39, გურჩიანი — 229,47, კვანჭიანი — 226,77.

**ვაჟები. წყვილთა გარბენი.** ზაზა გურჩიანი (მესტია) — 100, ნუკრი გველებიანი (თბილისი) — 92,23. ლერი მიქელაძე (ორივე — თბილისი) — 79,14. **ინდივიდუალური რბოლა სიმაღლის დაძლევით.** ზაზა გურჩიანი 69, გველებიანი — 66,40, რობერტ გურჩიანი (მესტია) — 58,20; **ინდივიდუალური რბოლა სისწრაფეზე.** ზაზა გურჩიანი — 100, მამუკა თვაური (პირადი) — 50, რობერტ გურჩიანი — 25; **აბსოლუტური პირველობა.** ზაზა გურჩიანი — 261, გველებიანი — 176,58, რობერტ გურჩიანი — 147; 50.

**გუნდური.** მესტია — 863, თბილისი — 731,89, ლენტეხი—279,18, უნივერსიტეტი — 264,10, ასკ — 124,38, სპი — 0.



# „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

**თბილისის** სპორტის სასახლეში დღეს დაიწყება ტრადიციული ტურნირი ხელბურთში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე.

ასპარეზობაში გამოვლენ ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საქართველოსა და სსრ კავშირის (ახალგაზრდული) ნაკრები გუნდები.

შევახსენებთ, რომ შარშანაც უძლიერესის სახელი მოიპოვა ტურნირის 18-გზის გამარჯვებულმა, სსრ კავშირის ქვეყნის ნაკრებმა. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები კი (უფროსი მწვრთნელი გიორგი ბერიაშვილი), რომელიც ახლა, როგორც ცნობილია, პირველ ლიგაში გამოდის, ბოლოსწინა, მეხუთე ადგილზე გავიდა. მეორე და მესამე პრიზიორები გახდნენ შესაბამისად ესპანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები.

გთავაზობთ თბილისის ტრადიციული, რიგით 23-ე საერთაშორისო ტურნირის კალენდარს:

**ოთხშაბათი, 6 დეკემბერი**
17.30 სთ — პოლონეთი — სსრ კავშირი (ახალგაზრდული)
19.00 სთ — საქართველო — სსრ კავშირი (I)

**ხუთშაბათი, 7 დეკემბერი**
17.30 სთ — ჩეხოსლოვაკია — პოლონეთი.
19.00 სთ — სსრ კავშირი (I)— საქართველო

**პარასკევი, 8 დეკემბერი**
17.30 სთ — სსრ კავშირი (I)— სსრ კავშირი (ახალგ.)
19.00 სთ — საქართველო — ჩეხოსლოვაკია

**შაბათი, 9 დეკემბერი**
17.30 სთ — ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი (I)
19.00 სთ — პოლონეთი — საქართველო

**კვირა, 10 დეკემბერი**
12.00 სთ — სსრ კავშირი (ახალგ.) — ჩეხოსლოვაკია
13.30 სთ — სსრ კავშირი (I) — პოლონეთი.

# ჭაბუკები ბორჯომში შეიკრიბნენ

**ბორჯომში** ერთ დროს მივიწყებული კრივი სამიოდე წელია აღორძინების გზაზე დააყენა ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა როინ ყოჩიშვილმა. აქაურმა ჭაბუკმა მოკრივეებმა უკვე არაერთ რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და საპრიზო ადგილებსაც დაეუფლნენ. მუდმივი საწვრთნელი ბაზის გამოყოფის შემდეგ, რომელსაც რაიონის ხელმძღვანელობა ჰპირდება, წარმატებები ალბათ უფრო მომრავლდება.

ბორჯომმა უკვე მეორედ უმასპინძლა ჭაბუკ მოკრივეთა საკავშირო ტურნირ „მეგობრობას“. ეს ტურნირი გაიმართა სარაიონო კულტურის სახლში. მასში საქართველოსა და დაღესტნის 100-მდე ჭაბუკი მოკრივე გამოვიდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები გახდნენ: 44 კგ — ა. გაჯიევი (მახაჩყალა), 46 — ა. სარუხანიანი (ბათუმი), 48 — მ. კიკნაძე (ბათუმი), 50. — გ. ქურდაძე (ბორჯომი), 54- — ი. რევაზიშვილი (გორი), 57 — გ. მამასახლისი (ვანი), 60 — კ. ნაკანი (მესტია), 63 — ა. ავაზნელი (გორი), 66 — ი. აბაშიძე (ბათუმი), 70 —ე. მძინარიშვილი (გორი), 74—ს. პირველაშვილი (ტყიბული), 79 — დ. ალიევი (მახაჩყალა).

ტურნირზე დაწესებული ნორჩი ბორჯომელი მოკრივის ჯაბა კიკაძის ხსოვნის პრიზი გადაეცა ბათუმელ ა. სარუხანიანს.

პრიზი „საუკეთესო ტექნიკისათვის“ მიიღო ტყიბულელმა ს. პირველაშვილმა, ხოლო „გამარჯვებისაკენ სწრაფვისათვის“ სპეციალური ჯილდოები დაიმსახურეს გორელმა ა. ავაზნელმა და ბორჯომელმა გ. ჩადუნელმა.

შეჯიბრება მაღალ დონეზე წარიმართა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, სპორტის ოსტატი ავთანდილ შოშიაშვილი.

**უშანგ ჯანგირაშვილი,**
**გაზეთ „ბორჯომის“ განყოფილების გამგე, სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი.**

# უფრო მეტი უნდათ

**პირველი** შთაბეჭდილება ხშირად ბევრი რამის მეტყველია. თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში თუ შეხვალთ, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს გამოფენილი მრავალი პრიზი და თასი, ასევე სასწავლებლის სპარტაკიადებისა და სხვადასხვა შეჯიბრების ამსახველი ფოტოები. გემოვნებით აქვთ გაკეთებული აგრეთვე სეულის ოლიმპიადაში მონაწილე ქართველ სპორტსმენთა სტენდი...

ტექნიკუმში მოსწავლეთა ფიზაღზრდის საქმეს უძღვება საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში ამირან კელიხაშვილი, აქვე მუშაობენ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფრენბურთში რაფაელ მურადოვი და საკავშირო კატეგორიის მსაჯი კალათბურთში ალექსანდრე როსტომაშვილი... ტექნიკუმის 800 მოსწავლიდან 110 თანრიგოსანი ყოფილა, აქედან რამდენიმე სპორტის ოსტატობის კანდიდატი და სამიც — სპორტის ოსტატი. ეს ურიგო მიღწევა არ უნდა ყოს სასწავლებლისთვის. სპორტულ კლუბ „იბერიაში“, რომელიც აქ ჯერ კიდევ 1977 წელს შეიქმნა, საზოგადოებრივ საწყისებზე, ცხრა სპორტული სექცია მუშაობს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ქართულ ჭიდაობას ეთმობა. ასე იყო თვით იმ წლებშიც კი, როდესაც ლამის სულ დავივიწყეთ ეს ეროვნული საუნჯე. ყველა სპარტაკიადა თუ სპორტული ღონისძიება ქართული ჭიდაობით იხსნება. ამაში სპორტკლუბის სამუშაო გეგმა და ფოტოებიც დაგვარწმუნებთ. ქართული ჭიდაობის პირველ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ნოემბრის ბოლო რიცხვებში გაიმართა, ამ ტექნიკუმის მოსწავლეც მონაწილეობდა.

როგორც ხედავთ, ტექნიკუმს თავისი სპორტული ტრადიცია შეუქმნია, მაგრამ აქ უფრო კარგად გაუძლევბოდნენ საქმეს უკეთესი სპორტული ბაზები რომ ჰქონდეთ...

— 1979 წელს ჩვენთვის გამოყოფილი თანხა განათლების სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ აფხაზეთის უნივერსიტეტს გადასცა, — აღნიშნა სპორტული კლუბის თავმჯდომარემ ბექან მებალიშვილმა, — და ბაზის მართლაც კარგი პროექტი განუხორციელებელი დაგვრჩა...

თუმცა ტექნიკუმს დარბაზი კარგი აქვს, თავისი გასახდელებითა და საშხაპეთი, არც წყალი ენატრებათ. დარბაზში შესვლისთანავე შეამჩნევთ, რომ იგი უქმად არ ცდება... გვერდით ოთახში არცთუ დიდი ხნის წინ შეძენილი თექვსმეტი დასახელების ტრენაჟორებია, რომლებითაც ფიზიკურად შედარებით სუსტი ახალგაზრდები სარგებლობენ, მაგრამ აქ ვარჯიშზე არც სხვა მოსწავლეები და სასწავლებლის თანამშრომლები ამბობენ უარს.

სექციების მუშაობისა და ფიზკულტურის გაკვეთილების გრაფიკები სპორტული კლუბის გამგეობის სხდომაზე მტკიცდება. სპარტაკიადებისა და სხვა შეჯიბრებების ჩატარების გეგმებს და დებულებებს სპორტკლუბი ამუშავებს. არც ტექნიკუმის თანამშრომლები დავიწყებიათ: სპორტკლუბში მოქმედებს რბენისა და სიარულის ჯგუფი „ნიავი“, სადაც ძირითადად თანამშრომლები და მათი შვილები არიან გაერთიანებული. დასვენებისა და გამოსასვლელ დღეებში კი ქალაქის შემოგარენში გადიან.

მეორე წელია ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და ტექნიკუმებში აბიტურიენტები აბარებენ ჩათვლებს ფიზკულტურაში. დავინტერესდით, თუ რას ფიქრობს ამის შესახებ ფიზაღზრდის ხელმძღვანელი.

— ძალიან კმაყოფილი ვარ ამ ჩათვლების შემოღებით. წელს აბიტურიენტებს უკვე ეტყობოდათ, რომ ფიზიკურად უკეთ იყვნენ მომზადებულნი, მათ იგრძნეს პასუხისმგებლობა ფიზკულტურის მიმართ...

ტექნიკუმში ტრადიციული საანგარიშო-საარჩევნო კრება საქმიან ვითარებაში ჩატარდა, განვლილი სამუშაო პერიოდი შეფასდა დამაკმაყოფილებლად და სპორტკლუბის თავმჯდომარედ ისევ ბექან მებალიშვილი აირჩიეს. მაგრამ გამოირკვა, რომ მიღწეულით თვითონ სპორტკლუბის ხელმძღვანელობა არ კმაყოფილდება, მათ უფრო დიდი მიზნები აქვთ დასახული.

**გია ბურდული.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთო ენა ვერ გამოძებნეს!

**გაზეთებში** სულ ახლახან გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ერთის მხრივ, და საფეხბურთო ლიგათა კავშირის ადმინისტრაციულმა საბჭომ მეორეს მხრივ, სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღეს 1990 წლის საკავშირო შეჯიბრებების თაობაზე. პრინციპული განსხვავება ამ ორი მმართველი საფეხბურთო ორგანოს მიერ შექმნილ პროექტებში ისეთი დიდია, რომ რამდენადმე მაინც შესაძლებელ ალტერნატივას გამორიცხავს. ფეხბურთის ფედერაცია, შარშანდელი დებულების შესაბამისად, უმაღლეს ლიგაში გულისხმობს 16 კლუბის მონაწილეობას, საფეხბურთო ლიგათა ადმინისტრაციულ საბჭოს კი განზრახული აქვს უმაღლესი ლიგის კონტინგენტი გაზარდოს 18 გუნდამდე და დატოვოს მოსკოვის „ლოკომოტივიც“ და ლენინგრადის „ზენიტიც“.

I ლიგის შემადგენლობა, ფეხბურთის ფედერაციის აზრით, კვლავ 22 გუნდით უნდა განისაზღვროს, ლიგათა კავშირი კი საბჭოთა ფეხბურთის ამ ეშელონში სრულ გარდაქმნას მოითხოვს, მან I ლიგა დაჰყო ორ ქვეჯგუფად, თითოეული 19-19 გუნდის შემადგენლობით.

ფეხბურთის ფედერაცია II ლიგის გუნდების შეჯიბრებას ახლებური სისტემით აპირებს და ე. წ. სამ ბუფერულ ზონას გვთავაზობს უძლიერესი გუნდების მონაწილეობით, ლიგების კავშირი კი ცდილობს შეინარჩუნოს ძველი ზონები, მაგრამ გადასხვაფერდეს ლიგიდან ლიგაში გუნდების გადასვლის პრინციპი.

და, ბოლოს, საფეხბურთო ლიგათა კავშირის ადმინისტრაციულ საბჭოს განზრახული აქვს შეცვალოს ქულათა ჩათვლის სისტემაც და ყოველ გუნდს მოგებისთვის დაეწეროს 3 ქულა, ფრედ დამთავრებული შეხვედრებისთვის — 1 ქულა და წაგებისთვის — 0.

როგორც ხედავთ, ერთი დებულების პროექტი აბსოლუტურად გამორიცხავს მეორე პროექტის უმთავრეს პუნქტებს და ალტერნატიულ გამოსავალსაც არ ტოვებს, ამიტომაც, უნებურად იბადება აზრი: რა უნდა მოვთხოვოთ შეჯიბრებაში მონაწილე კლუბებს, როცა განმკარგულებელი ხელმძღვანელი ორგანოები ასე მტრულად არიან ერთმანეთს გადაკიდებული და ნაცვლად იმისა, რომ ერთობლივად შეიმუშაონ, დააკონკრეტონ საკავშირო ჩემპიონატის სტრუქტურა, შეურიგებელი, მტრული პოზიციებიდან უცქერენ ერთმანეთს, ამის შესაბამისად, მზადებისა და მოქმედების რეალურ გზასაც ვერ სთავაზობენ ფეხბურთის საკავშირო შეჯიბრებათა მონაწილეებს. სულ მალე ოსტატთა გუნდებს დაუმთავრდებათ შვებულება, დაიწყება წინასასეზონო მზადების მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი, მაგრამ ლენინგრადის „ზენიტმა“ და მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ახლა არც კი იციან ვის ეკუთვნიან — უმაღლეს ლიგას თუ პირველ ლიგას.

ორი საფეხბურთო ხელმძღვანელი ორგანოს წევრები წარსულის ცნობილი ფეხბურთელები და გამოცდილი სპეციალისტები არიან, ისინი ათეული წლებია ერთად მუშაობენ, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ერთმა მხარემ არ ისურვა კომპრომისი და ნაცვლად იმისა, რომ ერთად დამსხდარიყვნენ და ერთად შეემუშავებინათ 1990 წლის ჩვენი საფეხბურთო სტრუქტურა, ისინი, ამბიციებით აღვსილნი, ჯიუტად ექიშპებიან ერთმანეთს და თავ-თავიანთ მხარეს ექაჩებიან საბჭოთა ფეხბურთის ელიტას.

თუ ამთავითვე, სასწრაფოდ არ გადაწყდა საბჭოთა ფეხბურთის სისტემის კარდინალური საკითხები, ეს კარგს არ მოიტანს. ფეხბურთი კოლექტივიზმის მისწრაფებებით უნდა იყოს გამსჭვალული არა მარტო უშუალოდ მწვანე მინდორზე, არამედ „მწვანე მაგიდებზეც“.

ამ სერიოზულ უთანხმოებებს თვით ფეხბურთის ფედერაციისა და საფეხბურთო ლიგების ადმინისტრაციული კავშირის წარმომადგენლებიც არ მალავენ. მაგალითად, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. პარამონოვმა „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე განაცხადა, რომ იგი გაოცებულია საფეხბურთო ლიგების კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილებით, ადრე დამტკიცებული საკავშირო შეჯიბრებათა დებულება არავის გაუუქმებია, ამიტომაც ფეხბურთის ფედერაცია მისი ერთგული დარჩა და დაადასტურა, რომ 1990 წელს უმაღლეს ლიგაში უნდა ითამაშოს 16 გუნდმა, პირველ ლიგაში 22 გუნდმა და II ლიგის ბუფერულ ზონებში — 66 გუნდმა. ამ დებულების გაუქმების უფლება აქვს მხოლოდ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის კონფერენციას, იგი კი მხოლოდ 9-10 იანვარს გაიმართება მოსკოვში. შემდეგ ა. პარამონოვი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საბჭოს გადაწყვეტილება სრულიადაც არაა ნაკარნახევი საბჭოთა ფეხბურთის შემდგომი წინსვლის ინტერესებით, იგი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ლიგების კავშირის ხელმძღვანელობას პრინციპულად არ სურს ერთობლივი მოლაპარაკების შედეგად მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და გამოიმუშაოს საერთო ალტერნატიული პოზიცია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საფეხბურთო ლიგების ადმინისტრაციული საბჭოს პროექტი არ ითვალისწინებს, რომ სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდა, მას გარკვეული დრო ესაჭიროება ერთობლივი წვრთნისა და მომზადებისთვის, არც უმაღლესი ლიგის გუნდების შემადგენლობის გაზრდა უწყობს ხელს ნაკრების ამოცანების განხორციელებას, გარდა ამისა, რუსეთის კლიმატი საშუალებას არ იძლევა გუნდებმა ნორმალურ პირობებში დაიწყონ ჩემპიონატი აპრილის შუა რიცხვებამდე.

გაზეთის ამავე ნომერში საფეხბურთო ლიგების კავშირის ადმინისტრაციული საბჭოს წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ვლადიმერ პილგუი აცხადებს, რომ საბჭოთა ფეხბურთი დიდი ხანია საჭიროებს რეორგანიზაციას, ამის შესახებ გამუდმებით ლაპარაკობენ თვით გუნდების მწვრთნელებიც, სწორედ ამიტომ ადმინისტრაციულმა საბჭომ გადაწყვიტა ასეთი რადიკალური ცვლილებების შეტანა საკავშირო ფეხბურთის სტრუქტურაში. რაც შეეხება იმ აზრს, რომ ჩვენ დავარღვიეთ ფეხბურთის ფედერაციის მიერ შედგენილი საკავშირო შეჯიბრებათა დებულება, არც ესაა სწორი. როცა ეს დებულება დამტკიცდა, საფეხბურთო ლიგათა კავშირი შექმნილი არ იყო, იგი მხოლოდ შემდგომში ჩამოყალიბდა და ჩამოყალიბდა სწორედ იმ მიზნით, რომ სრულჰყოს საკავშირო შეჯიბრებათა ჩატარების სისტემა, საფეხბურთო მმართველობას ჩვენს ქვეყანაში ფორმალურად ახორციელებს სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველო და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია, დამფუძნებელი ფუნქციები საფეხბურთო ლიგათა კავშირს რომ გადაეცეს, საამისოდ საჭიროა მთავრობის დადგენილება. როგორც საფეხბურთო ლიგების კავშირის პრეზიდენტმა ვ. პონედელნიკმა განაცხადა, შემუშავებულია პროექტი იმის თაობაზე, რომ საფეხბურთო შეჯიბრებათა ჩატარების ფუნქცია ჩვენს ქვეყანაში გადაეცეს ლიგათა კავშირს, დადგენილებით ეს პროექტი უახლოეს ხანებში დასამტკიცებლად გადაეცემა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

ერთი სიტყვით, ჩვენ, ფეხბურთის ფართო საზოგადოებრიობას, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მარჯვენა ხელმა არ იცის რას აკეთებს მარცხენა და, პირიქით...

# დღეს კიევში

**დღეს** კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე გაიმართება უეფა-ს თასის მეორე მერვედფინალური მატჩი კიევის „დინამოსა“ და იტალიის ქალაქ ფლორენციის „ფიორენტინას“ ფეხბურთელთა შორის. ამ გუნდების პირველი შეხვედრის შედეგი ყველამ კარგად იცის, „ფიორენტინამ“ დიდი უპირატესობით ითამაშა, მაგრამ გამარჯვებას მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მიაღწია — 1:0. ამ ტურნირებისთვის მიღებული ნორმებით თუ ვიმსჯელებთ, კიეველ ფეხბურთელებს გარკვეული შანსი აქვთ რევანში აიღონ იმ ანგარიშით, რომ მომავალი წლის გაზაფხულზე ბრძოლა განაგრძონ მეოთხედფინალში.

ამ მეტად საინტერესო, საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის კიეველები თავისებურ „იტალიურ გარემოცვაში“ ემზადებოდნენ. კლუბის იტალიელმა სპონსორმა, ქსოვილების ფირმა „ფიზაკმა“ რომიდან 60 კილომეტრით დაცილებულ საკურორტო ქალაქ ფიუჯში სტუმრებს ყველა პირობა შეუქმნა მზადებისთვის. კიეველებმა აქვე გამართეს საკონტროლო შეხვედრა იტალიის მესამე ლიგის ლიდერ „ვიჩენცასთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

როგორც კიევის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ განაცხადა, მისი აზრით, მეტოქე შეეცდება შეინარჩუნოს პირველ მატჩში მოპოვებული უპირატესობა, ამიტომაც, უმთავრესად დაცვითს ტაქტიკას მიმართავს, კიეველებმა კი მთელი თავიანთი შესაძლებლობანი შემტევ თამაშში უნდა ჩააქსოვონ.

იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში ახლა ლიდერობს „ნაპოლი“, რომელსაც 20 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან „სამპდორია“ (17 ქულა), „იუვენტუსი“, „მილანი“, „ინტერი“, „ბერგამო“ (16-16 ქულა). ჩვენი მეტოქე 12 ქულით 16 შესაძლებლიდან მეათე ადგილზე იმყოფება. გუნდმა მეტოქეთა კარში 18 ბურთი გაიტანა და 16 მიიღო.

კიევის „დინამოსა“ და იტალიის „ფიორენტინას“ მატჩის ტელერეპორტაჟს ცენტრალური ტელევიზია გადასცემს დღეს 20 საათიდან თბილისის დროით.

# მეორე ჯგუფში იასპარეზებენ

**დამთავრდა** რესპუბლიკის ზონალური პირველობა ფეხბურთში, ასპარეზობაში მონაწილეობდა 18 კოლექტივი. გუნდები სამ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველობაში გამარჯვებები მოიპოვეს: **დასავლეთ ქვეჯგუფში** დიდი ჯიხაიშის გუნდმა (მარტვილის რაიონი), „კოლხეთი“-2-მა (ქ. ხობი); **ცენტრალური ქვეჯგუფში** „აისმა“ (ქ. ქუთაისი), ლენინის სახელობის შახტის გუნდმა (ქ. ტყიბული); **აღმოსავლეთ ქვეჯგუფში** — „ალვანმა“ (ქ. ახმეტა) და „ნაფარეულმა (თელავის რაიონი). ექვსივე გუნდი გაზსად რესპუბლიკური პირველობის მეორე ჯგუფში იასპარეზებს.

# უკანვე გაბრუნდნენ

**როგორც** „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება, ზამბიელი ფეხბურთელები მანინკა, ჩასნა და გვანზა, რომლებმაც დუშანბეს „პამირის“ შემადგენლობაში მიიღეს მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩში, სეზონის დამთავრების მერე უკანვე, აფრიკაში გაბრუნდნენ. ბულგარეთში დაბრუნდა, აგრეთვე, ფეხბურთელი ტენიო მინჩევი, რომელიც კუიბიშევის „კრილია სოვეტოვში“ იყო ჩარიცხული.

ამ ფეხბურთელთა შინ დაბრუნების მოტივი ცნობილი არაა, სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს ცნობით, ჩვენი ქვეყნის არც ერთ კლუბს ჯერჯერობით მოლაპარაკება არა აქვს უცხოეთის რომელიმე კლუბთან ფეხბურთელთა მიწვევის თაობაზე.

# ვალტერ ძენგა—საუკეთესო

**გფრ-ის** ჟურნალმა „ფუსბალველტცაიტშრიფტმა“ სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვა მოაწყო 1989 წლის მსოფლიოს საუკეთესო მეკარის გამოსავლენად (შარშან ჟურნალმა ასეთად მიიჩნია საბჭოთა ფეხბურთელი რ. დასაევი).

1989 წლის მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ აღიარეს იტალიისა და მილანის „ინტერის“ კარის დარაჯი ვალტერ ძენგა, რომელმაც 79 ხმა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მ. პრიუდომი (ბელგია, 38) და რ. დასაევი (სსრ კავშირი, 33).

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
### უმაღლესი ლიგა

# სტატისტიკა, სტატისტიკა...

● **სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის ზონის III შესარჩევ ჯგუფში გამოდიოდა. აქ დამარცხებას ვერც ერთი გუნდი ვერ გადაურჩა, ყველაზე ნაკლები ქულა სსრ კავშირის ნაკრებმა დაკარგა (—5). გატანილი და მიღებული ბურთების დადებითი ბალანსი მხოლოდ სსრ კავშირისა და თურქეთის გუნდებს აქვთ, თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თურქები ვერ გავიდნენ და მეორე საგზური ჯგუფში ავსტრიელმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს.

● **ყველაზე** მეტი ბურთი თურქებმა გაიტანეს (12), ხოლო ყველაზე მეტი გაუშვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა (13).

● **საკავშირო** ნაკრებში მონაწილეობდა თერთმეტი საკლუბო გუნდის 23 ფეხბურთელი (დასაევი, ჩანოვი, ბესონოვი, ლუჟნი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, იარემჩუკი, ივანაუსკასი, კეტაშვილი, კულკოვი, დემიანენკო, გორლუკოვიჩი, ზიგმანტოვიჩი, რაცი, ალეინიკოვი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი, დობროვოლსკი, ბოროდიუკი, ი. სავიჩევი, ჩერენკოვი).

● **ყველა** 8 შესარჩევ მატჩში მონაწილეობდნენ მხოლოდ ლიტოვჩენკო, ზავაროვი და პროტასოვი.

● **შესარჩევ** მატჩებში ყვითელი ბარათები დაიმსახურეს ბესონოვმა, კუზნეცოვმა, რაცმა, ზავაროვმა, ხიდიატულინმა, გორლუკოვიჩმა, ლუჟნიმ.

● **ევროპის** ზონის შესარჩევ ტურნირში ყველაზე მეტი ბურთი გავიდა დანიისა და საბერძნეთის გუნდების შეხვედრისას. მატჩი მოიგეს დანიელებმა — 7:1.

● **7 შესარჩევ** ჯგუფში ჩატარდა სულ 116 მატჩი, ყველაზე ხშირი იყო ანგარიშები 2:0 და 2:1.

**პატიკო ბუკია.**
ხობის რაიონი. სოფ. ხეთა.



ს. ლაზარონი:

# „კვლავ ჩემპიონები გავხდებით“

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი სებასტიანო ბაროზო ლაზარონი იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის წინ დიდი ამბიციებით არის გამსჭვალული.

ახლა იგი 33 წლისაა, მეკარედ თამაში დაიწყო „სან-კრისტოვაოში“, 21 წლისა უკვე მუშაობდა „პორტუგეზაში“ (სან-პაულუ) მწვრთნელად ფიზიკურ მომზადებაში, შემდეგ ამავე ფუნქციებს ასრულებდა რიო-დე-ჟანეიროს „ამერიკასა“ და „ფლამენგოში“. 1982 წელს გაემგზავრა არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, სადაც ადგილობრივ კლუბებს წვრთნიდა. 1986 წელს მისი ხელმძღვანელობით „ფლამენგო“ რიო-დე-ჟანეიროს შტატის ჩემპიონი გახდა. გავიდა ორი წელი და ლაზარონის მოთავეობით იგივე წოდება „ვასკო და გამამ“ მოიპოვა. 1989 წლის იანვარში, ცხარე კამათის შემდეგ, ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა მეტად მარცხიანად იმოგზაურა ევროპაში, მაგრამ შემდეგ ბრაზილიის გუნდი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი გახდა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის საგზურიც მოიპოვა. ლაზარონი მიიჩნევს, რომ ბრაზილიის ნაკრებმა აუცილებლად უნდა მიიწვიოს ის ცნობილი ოსტატები, რომლებიც საზღვარგარეთის კლუბებში გამოდიან.

აი მწვრთნელის ერთ-ერთი საინტერესო ინტერვიუ:

● **რა არის საჭირო ბრაზილიის ნაკრებმა რომ ოცწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ დაიბრუნოს მსოფლიო ჩემპიონობა?**

— ამას, კოლექტიური სამუშაოს ჩატარებასთან ერთად, იღბალიც სჭირდება, რაც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში არა გვქონია.

● **ნაკრების ყველა პოტენციური ბურჯი ევროპის კლუბებში გამოდის, ამავე დროს ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ბრაზილიელი გულშემატკივრები უმეტეს შემთხვევაში ხაკმაოდ მტრულად ეკიდებიან ამ ფეხბურთელებს. ეს საკმაო პრობლემებს ქმნის...**

— ამ პრობლემებს მოევლება. იმ დიდი უიღბლობის შემდეგ, რომელიც წილად გვხვდა 1982 წელს და განსაკუთრებით კი 1986 წელს, როცა ფრანგებთან დავმარცხდით პენალტების სერიით. ახლა მაინც გავახარებთ ჩვენს გულშემატკივრებს.

● **როგორ ადევნებთ თვალს იმ ბრაზილიელი ფეხბურთელების თამაშს, რომლებიც ევროპის კლუბებში გამოდიან?**

— მათთან გარკვეული კონტაქტები გვაქვს, სათანადო ინფორმაციას ვღებულობთ საზღვარგარეთ მომუშავე ბრაზილიელი მწვრთნელებისგან.

● **ხომ არ გაგვიმარტავთ თქვენს პოზიციას ახალი გუნდის ჩამოყალიბების საკითხში?**

— უპირატესობას იმ ფეხბურთელებს მივანიჭებ, რომლებიც ჩემს „სქემას“ პასუხობენ, ნაკრებში ყველაზე ძლიერი მოთამაშეები უნდა გამოდიოდნენ. თუკი ამ ნაკრებს მომზადების საჭირო დონე ექნა, იმედიანად ვიქნები.

● **ის ბრაზილიელი მოთამაშეები, რომლებიც ახლა ამ ქვეყნის კლუბებში გამოდიან, ევროპაში ნაკლებად არიან ცნობილი. ხომ არ იჩენს თავს მათი არასაკმარისი გამოცდილება ნაკრებთა დონეზე?**

— ამ ბრაზილიელ ოსტატებს ორ ჯგუფად დავყოფდი. ერთ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ვთქვათ, გამოცდილი ვაშინგტონი და აკაკიო, რომელთათვის მსოფლიო ჩემპიონატი თავის გამოჩენის უკანასკნელი შესაძლებლობა იქნება. მეორე ჯგუფს შეადგენენ ის ახალგაზრდა მოთამაშეები, რომელთაც არ აკლიათ სათამაშო გამოცდილება. ესენი არიან ჟეოვანი და ბებეტო, მათვე მივაკუთვნებ ბობოს, სეზონის საუკეთესო სნაიპერს. შეიძლება გვითხრან, რომ ამჟამად არა გვყავს სოკრატესის, ზიკოსა და ედერის დონის მოთამაშეები, მაგრამ მაღალი ტექნიკის ინდივიდუალისტები ჩვენში მაინც მრავლად არიან, უნდა შევძლოთ მათი თამაშის საერთო ინტერესებისთვის დაქვემდებარება. თუ სამხრეთ ამერიკის განვლილი ჩემპიონატის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს გავაკეთეთ კიდეც.

**მოამზადა ბიჯი ბამრეკელმა.**

# ავსტრიელთა საზრუნავი

**ავსტრიაში** დამთავრდა ამ ქვეყნის ჩემპიონატი ფეხბურთში, პირველ ადგილზე კვლავ ინსბრუკის „ტიროლი“ გავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ტიროლელებმა ბოლო მატჩი საკუთარ მინდორზე წააგეს. ეს ინსბრუკის გუნდის პირველი მარცხია განვლილ ჩემპიონატში. მეორე ადგილზე გავიდა ვენის „აუსტრია“, მესამეზე — „ადმირა ვაკერი“ და მხოლოდ მეოთხეზე — ცნობილი „რაპიდი“.

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა როდაქსმა („ადმირა ვაკერი“), რომელმაც 27 ბურთი გაიტანა.

საფეხბურთო სეზონი ავსტრიაში დამთავრდა, ახლა აქაური სპორტული წრეების მთელი ყურადღება მიპყრობილია 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისკენ. ავსტრიელმა ფეხბურთელებმა ი. ჰიკერსბერგერის ხელმძღვანელობით ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს, ამიტომაც აქ ყველაფერს აკეთებენ ამ დიდი შეჯიბრების სამზადისისთვის.

საქართველოს თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში

# მომავალ ტურნირზე ფიქრით

**ამ დღეებში** თბილისის ფალავანთა კლუბი მასპინძლობდა საქართველოს თასის გათამაშებას თავისუფალ ჭიდაობაში, რომლის შესახებ გვესაუბრება საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ვაჟა იმერლიშვილი.

— ამ შეჯიბრებაზე, — გვითხრა მან, — კიდევ ერთხელ გადავსინჯეთ ჩვენი სპორტსმენების მზადყოფნა 1990 წლის თბილისის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის. ჩვენი ნაკრები ძირითადად ახალგაზრდებით დაკომპლექტდება და ამიტომ, საკავშირო დებულებიდან გამომდინარე, საქართველოს თასის გათამაშება ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. ახალგაზრდებიდან შეჯიბრებაში 1970-1972 წლებში დაბადებულები მონაწილეობდნენ.

მოასპარეზეთა შორის კონკურენცია საკმაოდ დიდი იყო და მაყურებელმაც ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა იხილა. გუნდურ პირველობაში ორმა კოლექტივმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, მაგრამ „შრომითი რეზერვების“ გუნდს ერთით მეტი ჩემპიონი აღმოაჩნდა და პირველი ადგილიც მან დაისაკუთრა.

საქართველოს თასის ამ გათამაშებაში მონაწილეობდა ყველა ჩვენი წამყვანი მოჭიდავე, გარდა ზაზა თურმანიძისა, რომელსაც ტრავმა კვლავ აწუხებს, დავით გობეჯიშვილი და ლერი ხაბელოვი კი საკავშირო ნაკრებში არიან.

შეჯიბრება, კიდევ ვიმეორებთ, საინტერესო იყო, მაგრამ პრობლემებიც გვაქვს, ეს უფრო დაბალ წონებში. ორ წონით კატეგორიაში შეჯიბრება არც კი გამართულა, საერთოდ, დაბალ წონებში ერთადერთი ლიდერია — ზურაბ ტატუაშვილი, რომლის კონკურენტი, სამწუხაროდ, ჯერ არა ჩანს. უფრო მეტი მუშაობა მართებთ აგრეთვე 57 კილოგრამი წონითი კატეგორიის მოჭიდავეებს.

მომდევნო წონით კატეგორიებში ძირითადად ახალგაზრდა პერსპექტიული მოჭიდავეების იმედად ვართ, ხოლო ჩვენი გუნდის აღიარებული ლიდერები ავთანდილ გოგოლიშვილი, ლერი ხაბელოვი, დავით გობეჯიშვილი, აგრეთვე რამდენიმე სხვა ძლიერი ათლეტი, როგორც იცით, 82 კილოგრამ და უფრო მძიმე წონით კატეგორიებში ასპარეზობენ...

**გუნდური პირველობა.** 1. „შრომითი რეზერვები“ — 80 ქულა; 2. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება — 80; 3. „დინამო“ — 70; 4. — ასკ — 30.

გაცნობებთ გამარჯვებულთა ვინაობას წონითი კატეგორიების მიხედვით: მოზრდილები: **48 კგ.** ერმან ნაგიევი („შრ. რეზ.“); **52 კგ.** ნუგზარ სააკიანი (პროფკავშირები); **57 კგ.** გიორგი მდინარიშვილი (პროფკავშირები); **62 კგ.** მონაწილე არ იყო, **68 კგ.** გოჩა გაბოძე („დინამო“); **74 კგ.** ნუგზარ პატურაშვილი („შრ. რეზერვ.“); **82 კგ.** დავით ხურცია (პროფკავშირები); **90 კგ.** ავთანდილ გოგოლიშვილი; **100 კგ.** მამუკა რაზმაძე; **მძიმე.** ლევან ებანოიძე (ყველა „შრ. რეზ.“).

**1970-1972 წლებში დაბადებულები: 48 კგ.** ივანე ყუშიტაშვილი („დინამო“); **52 კგ.** მონაწილე არ იყო; **57 კგ.** გივი სისაური („შრ. რეზ.“); **62 კგ.** ხვიჩა გოგიჩაიშვილი (პროფკავშირები); **68 კგ.** გოჩა კიკაბიძე; **74 კგ.** დავით ხაბელაშვილი (ორივე —„შრ. რეზ.“); **82 კგ.** ავთანდილ მგელაძე („დინამო“); **90 კგ.** ზაზა ელბაქიძე (პროფკ.); **100 კგ.** ალექსანდრე გზირიშვილი (პროფკ.); **მძიმე.** ავთანდილ მირზიაშვილი („დინამო“).

**გია გაიაძე.**

# ლიდერები პოზიციებს არ თმობენ

**საქართველოს** მოზარდ მოჭადრაკეთა პირველობაზე გაიმართა კიდევ 3 ტური. ბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობს, ლიდერები პოზიციებს არ თმობენ და მორიგი გამარჯვებებიც მოიპოვეს. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა საგარეჯოელი ეკა ტაბატაძისა და ქუთაისელი სოფიკო ტყეშელაშვილის პარტია. ისინი VI ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. მართალია, ტაბატაძემ ერთ მომენტში ხარისხი დაკარგა, მაგრამ მას საკმაოდ აქტიური პოზიცია ჰქონდა ამას მოჰყვა ლაზიერის ენერგიული რეიდი და საშამათო ქსელში მოქცეულმა ქუთაისელმა თავი დამარცხებულად სცნო.

მოგვყავს ტექნიკური შედეგები:

**V ტური. გოგონები.** სახოკია — გრიგალაშვილი 0,5:0,5, ფაჩულია— ეძგვერაძე 0:1, ხურცილავა — წივწივაძე 1:0, აფხაიძე — ღლონტი 1:0, ლომინეიშვილი — მოდებაძე 1:0, გიორგაძე — დარჩია 0,5:0,5, **ჭაბუკები.** უთმელიძე — არსენიძე 1:0, სიჭინავა — იგრიაშვილი 1:0, კვარაცხელია — იაშვილი 0:1, ხაბურზანია — ტიკურიშვილი 0:1, კეკელიძე — ჭიკაძე 1:0.

**VI ტური. გოგონები.** გრიგალაშვილი — დარჩია 0:1, მოდებაძე — გიორგაძე 1:0, ტაბატაძე — ლომინეიშვილი 0,5:0,5, ღლონტი — ტყეშელაშვილი 0:1, წივწივაძე — აფხაიძე 1:0, ეძგვერაძე — ხურცილავა 0:1, სახოკია — ფაჩულია 1:0; **ჭაბუკები.** ქორიძე — ჭიკაძე 1:0, ტიკურიშვილი — კეკელიძე 0,5:0,5, იაშვილი — ხაბურზანია 1:0, იგრიაშვილი — კვარაცხელია 0:1, არსენიძე — სიჭინავა 0:1, ჯანგობეგოვი— უთმელიძე 1:0, ხოსრუაშვილი — კვირიაშვილი 1:0.

**VII ტური. გოგონები.** ხურცილავა — სახოკია 0,5:0,5, აფხაიძე — ეძგვერაძე 0:1, ტყეშელაშვილი — წივწივაძე 1:0, ლომინეიშვილი — ღლონტი 1:0, გიორგაძე — ტაბატაძე 0:1, დარჩია — მოდებაძე 0,5:0,5; **ჭაბუკები.** კვირიაშვილი — ქორიძე 1:0, უთმელიძე — ხოსრუაშვილი 0,5:0,5, სიჭინავა — ჯანგობეგოვი 0,5:0,5, კვარაცხელია —არსენიძე 0:1. ხაბურზანია — იგრიაშვილი 0,5:0,5. კეკელიძე — იაშვილი 1:0, ჭიკაძე — ტიკურიშვილი 1:0.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ: **გოგონებში** — ტაბატაძე — 5,5, ტყეშელაშვილი — 5; **ჭაბუკებში** — სიჭინავა, კეკელიძე 6-6 ქულა, ქორიძე — 5.

**თამარ ხმიადაშვილი.**

# ევროპის საკალათბურთო მოედნებზე

## ესპანეთი

**ბრძელდება** კალათბურთის ჩემპიონატის წინასწარი თამაშები, რომელიც გამოარკვევს იმ რვა უძლიერეს კლუბს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულისათვის რომ გააგრძელებს ასპარეზობას. ათი ტურის შემდეგ პირველ ჯგუფში ლიდერობს „კაი დე რონდა“ (19 ქულა), მეორე ადგილზეა მადრიდის „რეალი“ (18), მესამეზე — „ესტუდიანტესი“ (17). სატურნირო ცხრილის შუაგულში არიან გამოცდილი გუნდები: „ბარსელონა“, „ხუვენტუდ ბადალონა“ და „კაი სარაგოსა“, რომლებიც 14-14 ქულით VI-VIII ადგილებს იყოფენ, რაც ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი მოულოდნელობაა. მეორე ჯგუფში ლიდერობს ვალიადოლიდის გუნდი „ფორუმა“ (19 ქულა). იგი, როგორც ესპანელი მიმომხილველები აღნიშნავენ, თავის წარმატებას მნიშვნელოვანწილად საბჭოთა კალათბურთელებს ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს არვიდას საბონისსა და ვოლდემარას ხომიჩუსს უნდა უმადლოდეს.

მეათე ტურის მატჩებიდან აღსანიშნავია აუტსაიდერის „გლას ფეროლის“ შეხვედრა ლიდერ მადრიდის „რეალთან“. როგორც უცხოური პრესა აღნიშნავს, ეს იყო უაღრესად დაძაბული და დრამატიზმით აღსავსე მატჩი. თამაშის დამთავრებამდე ექვსი წამით ადრე, როდესაც ანგარიში იყო 88:88 „რეალის“ მოთამაშე ხოსე ბირუკოვმა ზუსტად ესროლა ორი საჯარიმო, თითქოს მატჩის ბედი გადაწყდა, „რეალი“ დაწინაურდა — 90:88, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენთან ერთად ალდრეის (23 ქულა) სამქულიანმა სროლამ მიზანს მიაღწია — 91:90 გაიმარჯვა „გლას ფეროლმა“, რაც მეათე ტურის ერთ-ერთ სენსაციად შეიძლება მივიჩნიოთ. ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ „რეალის“ დამარცხების მიზეზად ამერიკელი კალათბურთელების მაკდონალდისა და ანდერსონის სუსტ თამაშს მიიჩნევს. მარცხი იწვნია ჩემპიონატის კიდევ ერთმა ლიდერმა „კაი დე რონდამ“, რომელმაც სტუმრად წააგო იფა-სთან — 88:96. „ფორუმამ“ ვალიადოლიდში დამაჯერებლად მოუგო იქაურ გუნდს — 87:76. ვალიადოლიდელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ხომიჩუსი (25 ქულა). საბონისმა გუნდს შესძინა 21 ქულა და 21-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს.

## იტალია

შვიდი ტურის შემდეგ იტალიის ჩემპიონატს ლიდერობს ვარესეს გუნდი (14 ქულა). მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ — „სკავოლინი“ და „ენიმონტი“ (12-12 ქულა).

ბოლო ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო მატჩი ბოლონიაში „კნოროს“ და მილანის „ფილიპსს“ შორის. რივას (27 ქულა) და მაკადუს (26) ზუსტი სროლების შედეგად გაიმარჯვა „ფილიპსმა“ — 88:81. დამარცხებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო ამერიკელი რიჩარდსონი (16 ქულა). ამით „ფილიპსმა“ შეწყვიტა დამარცხებათა უსიამოვნო სერია — ზედიზედ სამი წაგება. „ფილიპსს“ 8 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილის შუაგულში იმყოფება. მილანელთა სტარტს წარმატებულს ვერ ვუწოდებთ.

ჩემპიონატის ლიდერმა ვარესეს გუნდმა მეტოქის მოედანზე დაამარცხა „ვისმარი“ — 93:90. ერთგვარ მოულოდნელობად შეიძლება მივიჩნიოთ „სკავოლინის“ დამაჯერებელი გამარჯვება ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთ წარმომადგენელ „ვიოლისთან“ — 121:78. ძნელი საფიქრალი იყო, რომ „სკავოლინი“ ამ მატჩს 43 ქულით მოიგებდა. ოსკარ შმიტის გუნდმა კაზერტის „პიონოლიმ“ დიდი ანგარიშით დაამარცხა ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ირგე“ 116:82. სხვათა შორის, „ირგემ“ ჩემპიონატის შვიდივე მატჩი წააგო.

**მერაბ კალანდაძე.**

# რამდენს უხდიან მარადონას?

**ბოლო** ცნობებით, მარადონა დღესდღეობით 30 მილიონი დოლარის მფლობელია. მარტო იმ კონტრაქტის თანხა, რომელიც მას 1993 წლამდე აქვს დადებული „ნაპოლისთან“, 15 მილიონი დოლარია. შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა რეკლამაც. დღეს მარადონას სახელით სარგებლობენ ისეთი ცნობილი ფირმები, როგორიცაა „ტოიოტა“, „პუმა“, „ქსეროქსი“. არის გაუთვალისწინებელი შემოსავლის წყაროებიც. ასე, მაგალითად, ნავთობის ერთ-ერთმა შეიხმა მილიონი დოლარი გადაიხადა მხოლოდ იმისთვის, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში მარადონას მისი გუნდის მაისური ჩაეცვა.

მარადონას საკუთარი ვილა აქვს ნეაპოლის მახლობლად, რომლის ღირებულება მილიონი დოლარია. მას ეკუთვნის, აგრეთვე, ერთი სართული ნეაპოლის ფეშენებელურ რაიონში მდებარე სახლში და 700 ათასი დოლარის ღირებულების ბინა ბუენოს-აირესის არისტოკრატულ კვარტალში. ამასთან, იგი მიწის ნაკვეთის შეძენას აპირებს, რათა საფუძვლიანად დამკვიდრდეს თავის სამშობლოში.

ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, მარადონას პირად მფლობელობაში აქვს ორი, თითოეული 50 ათას დოლარის ღირებულების ავტომანქანა „რენო“, სამი „მერსედეს-ბენცი“, ორი „ფერარი“ და „ფიატი“.

მაგრამ ის ფაქტიც ანგარიშგასაწევია, რომ მარადონას კმაყოფაზეა, სულ ცოტა, ოცი ადამიანი, მათ შორის მისი ხუთი გათხოვილი და თავიანთი ოჯახებით.

# ბრძოლა საგზურებისთვის

**ბრძელდება** თბილისის მოჭადრაკე ვაჟთა 61-ე ჩემპიონატი. შეჯიბრებისადმი ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ დებულების თანახმად I ადგილის მფლობელი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობის უმაღლეს ლიგაში, ხოლო II-IV ადგილების მფლობელები — პირველ ლიგაში ასპარეზობის უფლებას.

III ტურის ტექნიკური შედეგები ასეთია: გოგაძე — პეტრიაშვილი 1:0, დგებუაძე — ყაჟეიშვილი 1:0, პოპოვი — ბოკუჩავა 1:0, ხაბურზანია — კაკაბაძე 0:1, ვაშაკიძე — კუპუხიძე 0:1, გოგოლაძე — მელაშვილი 1:0, სირბილაძე — ლობჟანიძე 0,5:0,5. გადაიდო გოგიჩაიშვილი—ლაზარიშვილისა და პაქსაშვილი — შალამბერიძის პარტიები.

3 ტურის შემდეგ 2,5 ქულით დაწინაურდა ალექსანდრე დგებუაძე.

**რაჩიკ კარტაშიანი,**
შეჯიბრების მთავარი მდივანი-მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# კალეიდოსკოპი

## მიკის თეოდორაკისი წერს ჰიმნს

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის თხოვნით ცნობილი ბერძენი კომპოზიტორი მიკის თეოდორაკისი წერს ბარსელონის 1992 წლის ოლიმპიადის ჰიმნს. მუსიკოსი აპირებს 1996 წლის ოლიმპიადის ჰიმნის შექმნასაც. ამ შეჯიბრების მასპინძლობის პრეტენდენტი მისი მშობლიური ქალაქი ათენია.

## ხულიო იგლესიასის სიყვარული

**46 წლის** პოპულარულმა ესპანელმა მომღერალმა ხულიო იგლესიასმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი ყოველ დილით ვარჯიშობს და ამიტომაა, რომ მთელი დღის განმავლობაში თავს მხნედ გრძნობს. სწორედ ტანვარჯიშმა დააძლევინა მას შედეგები იმ უმძიმესი ტრავმისა, ოდესღაც საავტომობილო კატასტროფაში რომ მიიღო და იძულებული გახდა ფეხბურთისთვის თავი დაენებებინა, არადა, იგი მადრიდის „რეალის“ ფრიად პერსპექტიულ მეკარედ ითვლებოდა.

უკვე 10 წელია იგლესიასი ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ ვერ შეეჩვია ვერც კალათბურთს და ვერც ამერიკულ ფეხბურთს. იგი კვლავ „კლასიკური“ ფეხბურთის თაყვანისმცემლად რჩება.

## ფირმა „პელე“

**ამერიკულმა** ფირმამ, რომელიც განთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელის სახელს ატარებს, ამ ბოლო წლებში ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ ამ მხრივ თვით „კოკა-კოლასაც“ კი უწევს კონკურენციას. ამას წინათ რიო-დე-ჟანეიროს გაზეთმა „გლობომ“ დაიმოწმა ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის ლკა-ს მონაცემები, სადაც ნათქვამია, რომ „პელეს“ შემოსავალი მრავალი მილიონი დოლარით განისაზღვრება. ეს მაშინ, როცა სამშობლოში პელეს ნაკლებად აფასებენ და მის სახელს მხოლოდ ყავის ერთ-ერთი ფირმა ატარებს.

უფრო მეტ პატივს სცემენ პელეს არგენტინაში, სადაც ამასწინანდელ მოგზაურობაში შესანიშნავი მიღება მოუწყეს. პელე არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა მიიღო. გაზეთებმა გამოაქვეყნეს ასეთი სურათი: პრეზიდენტის სასახლის ერთ-ერთ სალონში პელე და მენემი ფეხბურთს თამაშობენ. პელეს კარგ განწყობილებას ზოგი იმითაც ხსნის, რომ მან, როგორც საათების ერთ-ერთი ფირმის წარმომადგენელმა, ხელსაყრელი კონტრაქტი დადო მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ორგანიზატორ იტალიელებთან, ამისთვის კი საათების ეს ფირმა ერთ მილიონ დოლარს მიიღებს.

# კალეიდოსკოპი

## „სპორტპროგნოზი“

**49-ე ტირაჟის შედეგები (1-3 დეკემბერი)**

1-2, 2-2, 3-1, 4-2, 5-1, 6-2, 7-2, 8-2, 9-X, 10-2, 11-2, 12-1, 13-1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-54,
ხაზდევნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„შერაზი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66425**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10578